

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-14

შპს TECHNICAL SERVICE SOLUTION

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6	10,428
არამატერიალური აქტივები		-
გაცემული სესხები		-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,428
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური	7	561,357
ფასეულობები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	910,703
ფული და ფულის ექვივალენტები	9	739,820
სულ მიმდინარე აქტივები		2,211,879
სულ აქტივები		2,222,307
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		-
გაუნაწილებელი მოგება		2,005,047
სულ კაპიტალი		2,005,047
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	217,260
სულ მიმდინარე ვალდებულებები		217,260
სულ ვალდებულებები		217,260
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,222,307

შპს TECHNICAL SERVICE SOLUTION

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020
შემოსავალი	11	3,835,269
თვითღირებულება	12	(2440717.8)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,394,551
დასაქმებულთა ანაზღაურება		(559,042)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(113,717)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(5,274)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		716,518
წმინდა ფინანსური შემოსავალი / ხარჯი		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(50,705)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		14,188
მოგება დაბეგრამდე		680,002
მოგების გადასახადი		(6,130)
წლის წმინდა მოგება		673,872

შპს TECHNICAL SERVICE SOLUTION

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	1,408,018	1,408,018
მოგება წლის განმავლობაში		673,871	673,871
სხვა ცვლილებები		76,842	76,842
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი		2,005,047	2,005,047
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	-		

შპს TECHNICAL SERVICE SOLUTION
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს Technical Service Solution (ს.ნ 404945155) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2012 წლის 21 მაისს.

2014 წლის 6 ივნისს კომპანია დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია მერაბ შალამბერიძე (პ.ნ 59001014150).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- 1) საზღვარეულოს ინდუსტრიული დანადგარების იმპორტი და რეალიზაცია;
- 2) რესტორნის საზღვარეულოს პროექტირება, მონტაჟი, ტექნიკური მომსახურება.

საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მოსაშვილის ქ., N 3, ბ. N 6

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766
1 ევრო/ლარი	4.0233
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	4.4529

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე, საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია როგორც მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკურ ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2020 წლის დასასრულისთვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტომობილი	4-5
ავეჯი	1-3
კომპიუტერები	1-3
ელექტრონული მოწყობილობა	1-3
სხვა	1-3

ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას, დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა.

6. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება				
2020 წლის 1 იანვარი	3364	902	9300	13566
შემოსვლა	958	1179		2137
2020 წლის 31 დეკემბერი	4322	2080	9300	15702
დაგროვილი ცვეთა				
2020 წლის 1 იანვარი	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(1643)	(530)	(3,100)	(5273)
2020 წლის 31 დეკემბერი	(1643)	(530)	(3,100)	(5273)
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 1 იანვარი	3364	902	9300	13566
2020 წლის 31 დეკემბერი	2678	1550	6200	10428

7. სასაქონლო მატერიალური მარაგი

<u>სასაქონლო მატერიალური მარაგი</u>		31-დეკ-20
საქონელი		559981
ნედლეული და მასალები		73
საოფისე / ჰიგიენური მარაგები		1283
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი		19
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		561356

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

<u>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>		31-დეკ-20
სავაჭრო მოთხოვნები		891990
საექვო მოთხოვნები		-
გაცემული ავანსები		18199
წინასწარ გადახდილი ხელფასები		-
საგადასახადო და სხვა მოთხოვნები სახელმწიფოს მიმართ		-
სხვა მოთხოვნები		514
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		910,703

9. ფული და ფულის ექვივალენტები

<u>ფული და ფულის ექვივალენტები</u>		31-დეკ-20
თანხა სალაროში		767
თანხა ბანკში ეროვნულ ვალუტაში		225565
თანხა ბანკში უცხოურ ვალუტაში		513488
სულ ფული და ფულის ექვივალენტები		739,820

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-20
მიღებული ავანსები	4612
სავაჭრო ვალდებულებები	198616
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	11709
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს მიმართ	2323
სახელფასო ვალდებულებები	-
სხვა ვალდებულებები	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	217,260

11. შემოსავალი

შემოსავალი	2020
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	2917864
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	917405
სხვა შემოსავალი	-
სულ შემოსავალი	3,835,269

12. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2219024
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	221694
სულ თვითღირებულება	2,440,718

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1895
ადმინისტრაციული ხარჯი	
ბანკის საკომისიო	2782
იჯარის ხარჯი	23494
კომუნალური ხარჯები	1895
კომუნიკაციის ხარჯები	7681
მივლინების ხარჯები	2853
მიწოდების ხარჯი	32581
რემონტის ხარჯი	5108
საკონსულტაციო ხარჯები	27042
სხვა საერთო ხარჯები	9042
წარმომადგენლობითი ხარჯი	1238
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	113,717

14. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ჰქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა

განახორციელონ. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები და ჯარიმები.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულა.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2021 წლის განმავლობაში, წინამდებარე ანგარიშგების გამოცემამდე, კომპანიამ გამოაცხადა 21878 ლარის ოდენობის დივიდენდი.

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

კომპანია:

შპს Technical Service Solution

ს.კ 404945155

დირექტორი: მერაბ შალაშვირიძე

ხელმოწერა: _____